**ხელშეკრულება№31052017/1**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**დაფინანსების წყარო – ადგილობრივი ბიუჯეტი**

ქ.გორი

31 მაისი 2017 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ (ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი),წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენთიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ, შპს **„გაზლენდი“** (საიდენტიფიკაციო კოდი 417874571) წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია „მიმწოდებლისაგან“ „შემსყიდველის“ თხევადი პროპანის შესყიდვა (CPV 09122110)

1.2 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, შესყიდვის საშუალებაა გამარტივებული შესყიდვა.

## 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია : თხევადი პროპანის შესყიდვა (CPV 09122110)

## 3.ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტაში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 747.50 ( შვიდას ორმოცდაშვიდი ) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი გადასახადის გათვალისწინებით.

## 4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 5 ივლისამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. გორი მოსკოვის ქ. №1. შემსყიდველის ადგილსამყოფელი, სადაც სასაქონლო ზედნადების გაფორმების მომენტიდან შემსყიდველზე გადადის საკუთრების უფლება საქონელზე.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშფაქტურა).

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) განადგურებასა თუ რაიმე სახის ზიანზე. ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, თანხის მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე გადარიცხვით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ეტაპობრივად შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10(ათი) კალენდარული დღისა.

## 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 კალენდარულ დღეში.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს და ასეთ შემთხვევაში დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0.03 % პროცენტის ოდენობით.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 1 - სექტემბრამდე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ორგანიზაციის დირექტორი.

14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## *15. სხვა პირობები*

15..1მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

შემსყიდველი:

ა(ა)იპ ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის

მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი

ს/კ 417879399

სახელმწიფო ხაზინა TRESGE 22

გორი, მოსკოვის ქ.№1

/თ.აფციური/

მიმწოდებელი:

შპს „გაზლენდი"

ს/კ 417874571

ს.ს „თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი : TBCBGE22

ანგ :№ GE85TB7539136020100001

/კ.ღვალიშვილი/

# მიღება-ჩაბარების აქტი
(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 24 ივნისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდეგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ შპს **„გაზლენდი"** (ს/კ 417874571), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 31 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა თხევადი პროპანი (CPV 09122110). რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 180 ( ას ოთხმოცი ) ლარს.
აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი: შემსყიდველი:

კ.დვალიშვილი თ. აფციაური

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 16 ივნისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ შპს **„გაზლენდი"** (ს/კ 417874571), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 31 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა თხევადი პროპანი (CPV 09122110). რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 140 ( ას ორმოცი ) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი:

კ.დვალიშვილი

შემსყიდველი:

თ. აფციაური

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი　　　　　　　　　　　　　　　　　　　　07 ივნისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ შპს **„გაზლენდი”** (ს/კ 417874571), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 31 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა“ „შემსყიდველს“ მიაწოდა თხევადი პროპანი (CPV 09122110). რაზედაც “შემსყიდველი” “მიმწოდებელს” გადაურიცხავს 140 ( ას ორმოცი ) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი:　　　　　　　　　　　　　　　　შემსყიდველი:

კ.დვალიშვილი　　　　　　　　　　　　　　　　თ. აფციაური

# მიღება-ჩაბარების აქტი

(ხელშეკრულების პირობების შერულების შესახებ)

გორი 31 მაისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდეგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ შპს **„გაზლენდი"** (ს/კ 417874571), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 31 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა თხევადი პროპანი (CPV 09122110). რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 140 ( ას ორმოცი ) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი: შემსყიდველი:

კ.დვალიშვილი თ. აფციაური

# მიღება-ჩაბარების აქტი
(ხელშეკრულების პირობების შესრულების შესახებ)

გორი 04 ივლისი 2017 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიუსაფარ (ცხოველთა თავშესაფარი (შემდგომში – შემსყიდველი) წარმოდეგენილი მისი დირექტორის **თამარ აფციაურის** სახით (საიდენტიფიკაციო კოდი 417879399) და მეორეს მხრივ შპს **„გაზლენდი"** (ს/კ 417874571), წარმოდგენილი მისი დირექტორის **კახი დვალიშვილის** სახით (შემდგომში როგორც - მიმწოდებელი) ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2017 წლის 24 მაისის ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვების შესახებ (საქონლის შესყიდვა) მოთხოვნათა შესაბამისად „მიწოდებელმა" „შემსყიდველს" მიაწოდა თხევადი პროპანი (CPV 09122110). რაზედაც "შემსყიდველი" "მიმწოდებელს" გადაურიცხავს 147.50 ( ას ორმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი ) ლარს.

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერებით.

მიმწოდებელი: კ.დვალიშვილი

შემსყიდველი: თ. აფციაური